

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის სისტემა
საქართველოს სკოლებში: მიღწევები და გამოწვევები

თამარ ქუმსიაშვილი, ანა მიქაუტაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

სარჩევი

აბსტრაქტი.....	1
Abstract.....	3
საკითხის აქტუალობა.....	5
კვლევის მიზანი.....	10
საკვლევი კითხვები.....	11
ჰიპოთეზები.....	11
პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამის შესახებ.....	12
ელექტრონული საკონსულტაციო სერვისი myprofession.gov.ge.....	17
ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის წინასაბაკალავრო პროგრამა.....	23
ლიტერატურული მიმოხილვა.....	28
კვლევის მეთოდოლოგია.....	41
კვლევის შედეგები და შედეგების განხილვა.....	48
დასკვნები და რეკომენდაციები.....	64
რეკომენდაციები შემდგომი კვლევისთვის.....	73
დანართი 1.....	74
დანართი 2.....	81
გამოყენებული ლიტერატურა.....	84

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს სკოლებში 2013-2014 წლებიდან დანერგილი პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამის ანალიზი, მიღწევები და გამოწვევები. გარდა ამისა, ნაშრომი ფოკუსირებულია იმ ფაქტორების წარმოჩენაზე, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლის პროფესიულ გადაწყვეტილებაზე.

ნაშრომში განხილულია პროგრამის არსი, მისი მიზნები და ამოცანები, ასევე ყურადღება ეთმობა კერძო სექტორის მიერ შემოთავაზებულ გზებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების, უნარებისა და შრომის ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით ინფორმირებული პროფესიული არჩევანის გაკეთებაში. გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილია ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო გამოცდილება.

კვლევის პრაქტიკული მიზანია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის დადგენა და მისი ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების შემუშავება. მოსწავლეთა პროფესიულ არჩევანზე გავლენის მქონე ფაქტორების წარმოჩენა კვლევის თეორიულ მიზანს წარმოადგენს; აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება პროგრამის მესვეურებს დაეხმარება მისი ეფექტიანობის გაუმჯობესებაში.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა მე-9 და მე-11 კლასის 230 მოსწავლე, რომელთა ნაწილიც პროგრამის ბენეფიციარია, ხოლო ნაწილი-არა. გარდა ამისა, გამოიკითხა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ოთხივე ფაკულტეტის პირველი კურსის 30-მდე სტუდენტი და სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა პროგრამის კოორდინატორებთან (საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა

სამინისტრო და სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულება მანდატურის სამსახური) და განათლების ექსპერტთა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ საქართველოს საჯარო სკოლებში არსებული პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამა გავლენას არ ახდენს მოსწავლეების მიერ ინფორმირებული პროფესიული არჩევანის გაკეთების პროცესზე; ამასთანავე, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობები სრულად არ ხორციელდება და შესაბამისად, პროგრამაც ნაკლებად ეფექტიანია.

პროგრამის ბენეფიციარებს სჭირდებათ მეტი ინფორმაციის მიწოდება შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის, სხვადასხვა პროფესიის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. მოსწავლეებს ასევე სჭირდებათ იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და დახვეწა, რომლებიც მათ ზოგადი განათლებიდან დასაქმების საფეხურზე გადასვლის პროცესს გაუმარტივებს.

Abstract

The following paper is presented to analyze the Professional Orientation and Career Planning Program, implementing in Georgian schools since 2013-14 years, its achievements and challenges. Apart from this, the thesis is focused on revealing factors that significantly influence decision-making process of Georgian students related to their future professions.

The work overviews the essence of the program, its goals and objectives, the ways offered by private sector addressed to supporting students to make informed decision based on their own possibilities, capacities and peculiarities of labor market. Besides, the work reflects international experience in this respect.

The practical research goal is to define the compliance between the objectives and results of the Program of Professional Orientation and Career Planning and to suggest recommendations oriented to eliminating its flaws based on the analysis. Identification the factors having impact on the professional choice of students is the theoretical goal of the following research. Consideration of these factors will help the program authorities to increase its efficiency.

In the framework of the research were surveyed 230 students of 9th and 11th grades. Some of them were the beneficiaries of the program, some not. Besides, there were surveyed 30 first-year students of all faculties from Ilia State University. In-depth interviews were conducted with the coordinators of the program (Ministry of Sport and Youth Affairs, LEPL Office of Recourse Officers of Educational Institutions) and experts from the educational field.

Results of the research shed the light to the fact that the Program of Professional Orientation and Career Planning has no impact on the decision-making process of the students; Also it revealed that the activities planned within the framework of the program are not fulfilled properly and it is less efficient in the result.

Program beneficiaries need to get more information related to the current situation on labor market and positive and negative sides of different professions. Also they need to develop and refine practical skills and capacities, which facilitate transition from secondary education to the working world.